

F 24
1888) 0 1 8 6 0



საუკუნელ-ჯიხაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელს

№ 16

გაისის 15.

გაზეთი დირს: ერთას წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ფასები ნომ. 15 პ.
კელის მიწერა მიღება: თბილისში, რედაქტ. კახტორაში. ფოტოში
ცხარ. კალანდაძეთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის:
თიფლის, ვე რედაქცია გარეშე „TEATRЪ.“ გაზეთი ისურდება:
თბილისში ჩატვირთვის წიგნის მაღაზი; და პ-ნ ხიდების გადასახლის გო-
ლოგინის პრისტარზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარეშევით
უნდა იყოს დაწერილი. თუ საქონიობა მოთხოვს წერილებს რედაქცია
შესაბურებეს. რედაქცია არა კისრელის წერილების უან გაგზავნას და
მათ უესახებ მიწერ. მოწერას.

უკველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-
ცხოვრებელი ადგილი დაწერილა.

თბილისი, 14 მაისი.

მიზი ჩემის უბის ჭიბული.

სანამ ბიძა ჩემის უბის წიგნზე გადავიდოდე, საჭიროა ცო-
ტად მაინც გავაწოთ, რა კაცია ეს, ესდანდედ დროში „ასირ-
ებულ კარად“ წილდებული, ჩემი მოწონებული ბატონი.

ბიძა ჩემი ალექსანდრე, თუმცა სასში შესულია და, ჩემის აზ-
რით, მოსკოვის მეტი იმისათვის საჭირო აღარა არის რა, მაგ-
რაც მაინც მრომას თავს ვერ აქცევა: სასხამ დალით წამოდგება,
ქამარში გადგეუებს ერთ ბლუკა გაკლის სარადს, შედის ქარის ვე-
სახში და ვაზებს თითო-თითოდ ათვალიერებს; თუ რომელსამე-
განს რეა კარგად არ აქვს დაგავალება, — ასენის და ხელ-მეორედ
აკავებს; თუ გაბრუდებულ, ან წამოედ ჭიგოს სასაცს, მაშინ კი
ასწორებს, ან სცვლის. ერთი სიტყვათ, თუ ასე ხელი აკავ-
ებანს ცოტ-ცოტა უსირებდებს.



... აქ უნდა მოგასწენოთ, რომ კუნახში აქა-იქ ასაღი, დაქე-
კილი ჭიგო ჰქონდა და საუმეზე ამთხოვილი რომოები მუდა
საკსეა წელით....

ასე და ამ რიგად მუდამ დილით დაფუსფუსებს თავის საკუ-
რელ კენახში და, აფელი რომ გამოუვა შებლზე, გამოვა, დაიხანს
სელს და მადიანად ისაუზმებს.

საუზმის შემდეგ გამოდის სახლის ფართო დერეზანში, ჩა-
მოჭდება დად ქაზე და დაიწებებს ხოლმე გაზეთების კითხვას.
ერთს გაზეოს, რომ ათავებს, ცოტა სანს ჩატიქრდება (ამ დროს,
რომ შესედოთ, მისვებით, რომ წაგითხულზე ფიქრობს: ამ ფი-
ქრის დროს მაღ-მაღ იხედება ხოლმე გაზეთში და სან ერთ „სტა-
ტის“ ავლებს თვალს და სან მეორეს) და უცებ ან გაჯავრებული
გადათურთხებს, ან რაღაცას წაბუტბუტებს და... მეორე გაზეთის
კითხვას დაიწებებს ხოლმე.

... აქ უნდა მოგასწენოთ რომ ბიძა ჩემი ნასწავლა კაცია
და .. ქვერა აქეს და კაპალიც და, სხვათა შორის, რაც ქართულ და
რესულ ენებზე გაზეთები გამოდის თბილისში უკელას იწერს...

ასე და ამ რიგად კველა გაზეთებს ათვალიერებს და იშპე,
ფარდაგ გამდილ ტახტზე, წამოწება და მადიან სკრინგას ამოუ-
შებს ხოლმე.

გარგად რომ გამოიძინებს, ადის გეერდაზე, წამოწება ხოლ-
მე ხურიასეული დადი კაგლის მკებ და გადატერებს ბრტყელინგანე,
დაკლაგნეულ ალზანს. ბატარა სხის შემდეგ ადგიბა, დადის ამავე
გაელის მკებ გატეპნილ ბალიგზე და ჩამოვა ხოლმე შინ სადილის
საჭმელად.

... აქ უნდა მოგასწენოთ, რომ ქათამი, ბატი, ინდაური, ის-
კა შინა ჰერვ; ღვინოსა და შერს იმდენს ჰერიდის, რომ თავისათვის
წარა სამურავს ინარჩუნებს; თუმცა გრავო ჰერვ, მაგრამ სადილ-
გახშამს ადექსანდრეს ცოლი ბარბარე ამზადებს...

ასე და ამ რიგად ატარებს ალექსანდრე დროს სადილობაშ-
დის. სადილ შემდეგ წამოწება მუთაჭაზე, რომელიც ფარდაგ ტა-
დავა ჟამულ ტახტზე დერეფასში, აიღებს რაღაც ძველს, შემწერ-

ტლულს, მამა-პაპათაგან დარჩენილს წიგნს, ან არა და ასაღ რამე
უკრალს და კითხულობს სანამ თვალები დაკლება.

ამ წიგნების კითხვას, რომ თავებს, ადგება, წელში გაიშვე-
ნა და გასწევს ხოლო ან ისეგ კენახისაკენ, ან არა და ბოლო ზე
კეცილებისა და სიმინდების დასათვალიერებლად. ხშირ ბინდამდე
ასე შრომობს. მერე აანთებს სანთელს, მოუკლება თავის სამწერ-
ლო სტოლს და ასასაც მთელი დღის განმადლობაში შენიშვნას
ცხოვრებაში, ან გაიგებს, ან წაიგითავს გაზეთ-უკრალებში და
სხვა რამ წიგნებში საყურადღებოს, უკლას ხწერს თავის „უბის
წიგნებში“.

... აქ უნდა მოგასცენოთ, რომ უკლას, ამ წიგნში ჩაწერილს,
გვერდზე თავისი საკუთარი შენიშვნები აქვს...

ასე და ამ რიგად ატარებს მთელ დღეს: დილიდამ ღამემდის,
მერე იგანშევებს, დაწება და დაიძინებს.

ერთი სიტყვით ბიძა ჩემი თავის გონიერს მუდამ სავარჯი-
შოს აძლევს. მოშორებულია იმ ჭუჭრის, რომელიც თითქმის ძალა-
უნებურად ეცნის ქალაქების: ბითქმა მოთქმა არ უკვარს, უკავია
არავისი სჭიროს; უკარდება ცხოვრებას და უკლას ასამართლებს
მიუდგომდება.

ბიძა ჩემი იმ პირებთაგანია, რომლებსაც არა იშვიათად
უგრძნიათ, რომ თუმცა ცხოვრებაში „არა მკითხე მიამბეს“ ხში-
რად მოჭევდება ხოლო თუმცა იცის რომ „მართლის მთქმელს
ცხენი შეკაზული უნდა ჰვევრეს“... მაგრამ თავისი თავი მანწი-
ერ დაუბლევია: უკლას შინ ში მიახდის სიტყვას; არავის არ შე-
რჩენს ხოლო უკანასი ქრისტეს...

მე, ცოტა არ იყოს, ამ ჭარის სისხლისა ვარ. მე ეს გაცი
მართალ კაცად მიმაჩნია. ამის უბის წიგნში ჩაწერილი ამბები, ფა-
ქტები, ჩემის აზრით, საყურადღებოა. თუ ეს ასეა, — ჩემისხვე აზრით,
გამოკენებული უნდა იყოს. ამისათვის მე, უმორჩილესი, ჭემო-
რე ამის ხელის მომწერელი, მონა თქვენა ექმომიძე, დაგარღვევა
რიგიანობის წესს, (რესები რომ მცილისის ესახის), შიგიარები
სას-და-სან ბიძა ჩემის სამწერლო სტოლთან, გადაჭრდი უბის

წიგნს და, რასაც რასაკეთებელია, ჩემისავე აზრით, საუკედლებ-
ბოს გნახავ, ამოვწერ თავის შენიშვნებით, დაკურთამ ჩემს შენი-
შვნებს და გაუზიარებ მათ, ვინც ისურვებს უკის დაგდებას.

... მართლა, ე, „რიგიანობის“ დარღვევა ხომ გადაეწევა ტ-
და ბარემ დღეიდანვე დაკიტებს, მით უფრო რომ „თეატრი“ იპე-
ჭდება და სკალ უნდა გამოვიდეს... საწყალი რედაქტორი შიო
დაღბული მოულის საგაზირო მასალას... იქნებ დამიბეჭდოს...

ბიძა ჩემი სკრინიავს; გადავშლი წიგნს და რაც შემხვდება ამო-
წერ.

აბა ღმერთო და ბედო...

უკი ეს რა ამბავია, ღმერთო ჩემის! „დრამატიული საზოგა-
დოება...“ „ტოშიოტეტი...“ „თეატრი...“ „უპრავა...“

ექვთიმიძე.

(შემდეგ №-დის).

ახალი აშბები

თახშაბათს სადამოს თბილისში მოვიდა დეპეშა, რომ სა-
ზინადრის თანაშემწე იყანები, რომელსაც ქსრალდება 313 ათასი
მან. მოპარვა თბილისის საზინიდამ — რიგაში დაუჭირდო. იყანო-
ვა რიგაში ყოფილა დაბადებული, სადაც დიდი ხანი უცხოურია და
იქაურს პოლიციას სცნობებია. ამ დღეებში თბილისში ჩამოი-
კვნება.

თახშაბათს, 18 მაისს, ქართული დრამატიული საზოგადოების
დასი საზაფხულო თეატრში, მტკრის შიონის, ქმართავს წარ-
მოდგენას. წარმოდგენილი იქნება შიონგვად „ციმბირელი“,
კომ. 4 მოქმ. მონაწილეობას მიიღებენ: საფაროვა-ჩბაშიძისა, გა-
ბუნია, ლეონიძისა, ჩერქეზიშვილისა, თამარვისა, პ. პიშინი,
ჩახშიძე, თვეით ავტორი პიშისა, ივ. რაგარელი, მაქსიმიძე,
ქავთელი და სხვ.

ანტრაქტებში ბალი გაჩადებული იქნება, სადაც დაუკრავს სამ-
ხედრო მუსიკა.

რადგან იმ თეატრში გაღერება მცირება, ადგილების ფასი სკამპის უკანასკნელ რიგებში გაუიაფებათ.

გუშინ 14 მაისს, დაიწყო თბილისის თავად-აზნაურთა სა-ადგილ-მამული ბანკის წლიური კრება.

ცხრა მაისის ნიაღვაობა დიდი ზარალი მისცა თბილისებულებს. ბეჭრი სახლების ქემო სართულები აიგოთ წელია: მთაწმინდაში, ჩუღურეთში, სართულებში, გუბაში. ჩუღურეთში ერთი დაღაქის ფიცრის დუქანი დაშადა. მკელ დამოუნასთან რკინისით გადაბმული თლილი ქვით მოთენილი წელის არხი დააჭირა.

როგორც დღევანდელი განცხადებიდამა სხანს, ბ. აღნიაშვილს უკეთ მოუმზადება სცენაზე წარმოსადგენად ფეხია, უკარაშინი. ეს წარმოდგენა მრავალ მაულებელს მიაზიდავს და კარგი იქნია და უკანასკნელი ადგილები თეატრში ცოტა ნაკლებ ფასად დანიშნუნობის, რომ დარიბთაც შეიძლონ ამ საინტერესო წარმოდგენაზე დასწრება.

როგორც „Прав. Вѣст.“-ი გვაუწებს, ქართული სამუ-
ნეო გაზეთი „ცისქარი“ გაუქმებულ იქნა.

* * *

ნეტარ იმ დღეს, შენ რომ ბალში მელოდი,
მოველ და გულს მომაშორე მე ლოდი!
შენის ეშნით მე თავს ზარი დამეტა,
მთლად ავთროთოლდით, მახსოეს, შენცა და მეტა...

მოხველ და გულს გადმომფინე დალალი,
ბროლ-ფიქალი, ვარდ-გიშერი და ლალი!
შენი შეყრა ამ ჩაგრულს გულს იამა,
უშვენით მატებე, როგორც ვარდმა, იამა.

დამხსენ ოხერას, ტანჯვას, კვნესას, ცოდვილსა,
ზამიხსენი სამოთხე მე ცოდვილსა!...

ზაღმაყარე გულშე, თავშე სულ ია,
მეც შეგწირე სიცოცხლე და სულია!...

დრო იცვალა: მიმუხთლა ეინც მიწამა!

აღარც მომკლა, რომ მიმიღოს მიწამა...

ჭოჯოხეთად შემიცვალა დარია... .

ჩემს წყლულს გულში სამსალარამ დაპრია!...

აღარც ჰსურს მისალბუნოს იარა...

ჩემმა სატრფომ ჩემკენ აღარ იარა!...

მე უძლური ვვდივარ ასე ავადა...

რა შეეცოდე, რომ მომეცყრო ავადა?...

და ეს გული უწყალოდ რად ასერა?

მსოდენი რა ვაწყინე, ასე რა?

რისთეისა მკრა გქსლიანი ისარი?

ჩემი მკელელიც და მომრჩენიც ის არი!

მოდი ჩემო, წყლული გული დანამე,

ან არა და გულში დამეც დანა მე!

მოისწრაფე, როგორც მარჯვე მომკალი,

ან მაცოცხლე, ან ისევ შენ მომკალი!...

თ. რაფ. კოისთავი.

ზ ღ ბ ვ ა რ ი.

(ფრანგულით გადმოგეთვასული).

(დასასრული).

მთა მთას არ მოხედებაო, ამობს ანდაზა, მაგრამ ყმა-
წეილი ქალ-ვაჟი კი ყოველთვისაო, მეტადრე როდესაც ერთ-
მანერთის ნახვა უნდათ. რამდენჯერმე კიდევ დაუხვდა გზაშედ

თაფლო ბატონიშვილის; შემთხვევებით დაუხედა, თუმცა ეს
შემთხვევა ცოტა წინადევ იყო მომზადებული.

ბატონის შეილი წითლდებოდა, მაგრამ თან - და-თან - ნა-
კლებად და ბოლოს სულაც აღარ გაწითლებულა; ისე შეე-
ჩეია პატარა თაფლოს, რომ რამდენიმე სიტყვა მოახერხა და
თავის გულის სახმილი გამოუხატა; და ერთხელ, ერთ ბედ-
ნიერ, სამას სამოცდა ხუთჯერ ბედნიერ დღეს, დიდის კრძალ-
ვით და დიდის მოწიწებით თაფლოს კიდეც აკაცა... ხელშედ.

ამის შემდევ ერთმანერთს ხშირად ხედავდნენ და საქმე
კარგად მიღიოდა: ჩქარა, ძალიან ჩქარა, წადილი ამისრულ-
დებაო, იმედი ჰქონდა პატარა თაფლოს.

დიახ, იქ ვიყავით. ზომიავლო ქადას ხელი და ბატონი-
შეილისკენ გასწია. ჰერ შარა გზაზედ იარა, სანამ ზოფო-
ლიას მისი დანახვა შეეძლო და მერე კი ბილიკზედ გადაუხვია
და პატარა ჭალაში შავიდა; ეს ჭალა ბატონიანთ ზერის ბოლოში
იყო. მს იყო ბუჩქებში შევიდა და თითონ ბატონს კი შეე-
ფერა.

— სად მიხეალ, ჩემო ხოხობო?

— თქვენსა გიახლებოდი! მამიდაჩემთან ნიგვზის ქადა
მიმაქს, ბატონო — უპასუხა კრძალვით თაფლომ და თვალე-
ბი ძირს დაუშეა.

— თუ ჩეენსა მიხეალ, მაშ ერთი გზა გვექონია, უთხრა
ბატონმა და საკოცნელად წაეტანა.

— არა, ბატონო... და ბატონის საკოცნელად მომზა-
დებული ტუჩები მუხას შეეფეონენ, ისე მარდად გაუსხლტა
ხელიდეგან. არა, ბატონო, ჩემი გზა სულ სხვა გახლავთ.

— მაშ, მე წამოვალ შენ გზაზედ! თითქო სულ ერთი
არ იყოს?

— მე კი არ წამოვალ და! დედა ჩემმა მიოხრა, გზაზედ
მგლებს და კაცებს ერიდეო.

— მრიდეო! ბიჭოს! როგორ თუ ერიდეო, ლამის შენის
სიყვარულით მოვკედე, შე... გასაგლეჯო, შენა! მაყვარხარ,
გეყურება, მიყვარხარ და შენ კი უნდა მერიდებოდე?

— მეც მიყვარსართ, ბატონო და ისე ძალიან, რომ თა-
უვანსა გცემ, გაღმერთებ!

— ფიქ! ღმერთობა რად მინდა, გოგო, ლამის სულით
ხორციანად დაეიწვა! მრთი ყური დამიგდე, როგორ მოგვწო-
ნო! შენ გვონია, მოხუცი გარ? ბევრს კმაწვილს ვაჯობებ კი-
დევ!

— ღმერთმანი?

— მამაჩემი თორჩიკე არ წამიწყებდება! რითი გინდა ჩემი
სიყვარული დაგიმტკიცო? სთქვი, შენი ყურმოჭრილი ყმა
გარ, შენ კი გენაცვალოს, რაც ქვეყანაზედ ჩემთვის გამოუ-
სადეგი ქალია!

— მაშ ეს ქადა წაიღეთ და მამიდაჩემს უბოძეთ. ამ სი-
კეთეს დიდ მაღლობით გადავიხდით.

— მაღლობით კი არა, მე გეტყვი რითიც გადამიხდი!
მერე როდისლა გნახავ, ჩემო კაკაბო?

— ხეალ დილით; ძალიან დაგვიანდა და ამალამ მამიდა-
ჩემთან დაერჩები. ნახვამდის!

— მა, რომ აგრეთი კერპი არ იყო!... შენ მისდევედა ბა-
ტონი.

— ძარგი, ბატონი! მე ვიცით, გამეორება რა საჭიროა?

— მიყვარხარ, ვიწვი-ვიდაგები!

თაფლო კი მიდის და მიდის.

— სულ ოქროში და ვერცხლში ჩაგსვამ!

თაფლო კი მიდის.

— ბედა გწევ!

თაფლო კი მიდის.

— ძნეინად გაგხდი!

— რაო, კნეინად გაგხდიო! შურები ცქვიტა თაფლომ,
მაგრამ საბრალო ბატონს მეტი ველარ შეეძლო და იქვე ბა-
ლაბზედ მიწვა.

— ძა, მეც გიფი გარ, რომ ამ გადაყრუებულს ყურს უ-
გდებ! არა, შეილი არ სჯობია? ამასთან — ქმარი კმაწვილი
მეყოლება, ლამაზი და სულელი — სამი უმთავრესი თეისება
ნამდვილი ქრისა. არა, ჩემო ბატონო შენ კი არ ჩახრამუ-

ნებ თაფლოს; არა, პატარა თაფლო ჩაუკნატუნებს შენს შეიღს თავის მამულით და კეთილშობილური გვარით.

ბუჩქებს შეეფარა, ენახზე გადიარა, კიტრი და ნესვი გადათელა და კაკლის ძირს მიეიდა, სადაც ბატონიშვილი ელოდა.

— რას დალონებულხარ, თითქო დასტირი ეისმეო! რა ამბავია? შეუტია თაფლომ.

— შბედურება!

— ჰო, ვიცი! მამაშენს შეატყობინე ჩეენი განძრახვა და უარზედ დადგა, განა?

— დიახ!

— მე კი არ ვიცოდი! არა უშავს რა! შენ დღეს შენი გამშედაობა დამიმტკიცე, შენი მაღლიერი ვარ და დაგაჯილდოვები: მოდი მაკაცე!...

ბატონიშვილმა თვალები დაუშვა და ბრძანება შეუსრულა.

— ახლა მოდი და გეერდზედ დამიჯექ, ახლო! დალაგებით მოვილაპარაკოთ. მაგრამ... მოიცა ჯერ შუბლი მოგწმინდო. რა დაგმართვია, ოფლში იწურები?! საწყალი ბიჭუნა, როგორ გეტყობა, რომ ცხოვრების ტალღებს შეჩევული არა ხარ. რას გიგავს თვალები? ზეტყობა გიტირნია კიდეც! რა გაკანკალებს, ჩემო გერიტო? რისა გე მინიან? შეელაფერი კარგად იქნება. მე აქ არა ვარ, რომ ჩეენ ბეღნიერებას ყური ვუგდო! და ამასობაში ტალმა მოიხსნა, რომ ბატონიშვილს ადვილად შესძლებოდა წელზედ ხელის მოხვევენა.— წალი, შენი ბარგი შეჰვარ!

— რადა? ჰკითხა განცემურებით ბატონიშვილმა.

როგორ თუ რადა? მაშ არ იცი, რომ, რაკი ყველაფერი შეიტყო, მამაშენი თვალყურს გვადევნებს და ერთმანერთს აღარ გვანახებს!

— მე ხომ აგრე იქნება!

— და თუ ერთად მოგვასწრო საღმე, ოთახში დაგამწყვდეს და მზის სხიეს დავანატრულებს!

— როგორ არ ვიცი!

— მჩხანერთს ვეღარა ვწახეთ!

— უკი, ღმერთო!

— და შენი პატარა თაფლო, შორს შენგან, სევდით დაღვნება!

ვაი ჩემი ბრალი!

თავი ვეღარ შეიმაგრა თაფლომ და ერთი გემრიელად გადახარხარა.—ნუ, ნუ გეშინიან! საშუალება მე ვიცი: ამაღამ მე შენ მოგიტაცებ... უკი, ღმერთო მინდოდა მეთქვა, შენ მე მომიტაცებ მეთქვა და ქალაქისკენ მოვკურცხლავთ; იქ სომხეთს ვიპოვით, ესე იგი თითონვე გვიპოვენიან, და ოლონდ ხელი მოუწერე—ერთ წელიწადზედ მოგცემთქო და ფულით გავგავსებენ, რასაკეირებელია, როდესაც მამული ვაქეს და გადახდა შეგიძლიან. ამას მე გაერიგებ... ძარგი, გული მოიბრუნე! აბა, ერთი გამიცინე, შენი ბროლი კბილები დამანახევ!

— მერე ერთ წელიწადზედ როგორლა გადავუხდით?

— ღმერთო, ეგეც მე უნდა გითხრათ! მქესი თეის შემდეგ სრული წლოვანი გახდები.

— მერე?

— მერე ნაფუზრებს გაჰყიდი! შეუტია გაბრაზებულმა თაფლომ.

— ნაფუზრები მამიჩემისაა!

— ვენახებს გაჰყიდი!

— ვენახებიც მამიჩემისაა!

— ტყეს გაჰყიდი!

— ტყეც მამიჩემისაა!

— სახლს გაჰყიდი, მარანს, ბოსელს!

— ევეც მამიჩემისაა!

— მაშ კეელაფერი მამიშენისა ყოფილა? სთქვა უცბად თაფლომ და წამოხტა.

— შეელაფერი მამიჩემისაა. ცხონებული დედჩემი უმზითეო ყოფილა და არაფერი დამიტოვა. მაგრამ ჩემი კბილები, თვალები, თმა, ტუჩები, რომელნიც შენ ასე გიყვარს, ეს სულ ჩემი საკუთრებაა.

— თავიდე ერთი, სთქვა თავისთვის თაფლომ, ეერ გასჭრა!

— დაიცადე, მეც ვიცი ერთი საშუალება, უთხრა ბატონიშვილმა, როდესაც თაფლოს უკმაყოფილობა შენიშნა; ამ საშუალებით ნამდვილად თავს ეუშეველით და ამ განსაკლელს თავს დავახსნეთ.

— ვნახოთ! სთქვა თაფლომ.

— ახლავე ორივ ქალაქს წავიდეთ! ჩვენ მრომანერთი გვიყეარს და სადაც სიყვარულია, იქ ჯაფა აჩაუერია, ვიმუშავოთ, ვიშრომოთ და როგორც იქნება ვიცხოვრებთ. რაკი კანონი ნებას მოგვცემს, ჯვარი დავიწეროთ და როდესაც ერთი ნახევარ დუენი გოგო-ზიფი გვეყოლება, გავგზავნოთ მამაჩემთან, დაუჩიქოან და შესტიროან; როგორ არ გვაპატივებს, ჩვენ ტანჯვა-წვალებას რომ ნახავს?

— მე არის თქვენი აზრი? დასცინა თაფლომ. არა, ნუ თუ მე იმისთანა ქალი გვონიერთ, რომ შემეძლოს ყმაწვილი კაცი გადვიცა, გავაგიერ და იქამდის მიერყვნა, რომ თავის მშობელ მამისადმი ვალდებულებას ვაღალატებინო? არა, ჩემთ ბატონო, მე მაგას არ ვიკადრებ; მშეიღობით! და ზურგი შეაქცია.

— დამაზ თვალებს ოქროობა თავის დღეში არ გაუწევის, ფიქრობდა გზაზედ თაფლო. მამა ბებერია და უმსგაესი, მაგრამ მდიდარია, და ჩემთვის გაგიერბული. ძალიან — კარგი, შეილის მავიერად, მამას ჩავაკნატუნებ! ცოტა მაგარი იქნება, მაგრამ, აჩაუერი, მეც კარგი კბილები მაქს!

ბატონი კი იწვა ბალაზედ და ფიქრობდა. — მამაჩემი თორჩიკე არ წამიწყდეს, ამობდა გახარებული, ლამის გადამრიოს ი გოგომ! აი დალახერა წმიდა ზოორგომ!.. არა, უაზედაც რომ არის! აჲ, სადა ხარ ჩვენო ღროებავ, ჩვენო ბენერო ღროებავ! რა დრო გვქონდა ის დალოცვილი ისა და! ასე კი არ გაგიკრძებოდა, ერთი უბრძანებდი და!... ჩემი ცოდო ედოს, ეინც ბატონ ყმობა გადააგდო! არა, რა უნდოდა, შენი ჭირიმე, ეკუავით ჩვენთვის მშეოდად, წყარაად; არც თხოვნა, არც ხევწნა, არც თავში ცემა! ნეტარებით საესე იყო ის დრო! მაზედ არის ნათქვამი და: „სადაც ლამაზ ქალს ვნახავდი, უკელა ჩემი მეკონაო!“ არა, ჩემი პატიოსანი

შეიღლიც რომ... ეიძე, ვაძე! ამისთანა ლუკმა სხვის ჯაში ჩაუშეა!.. მაშ ეს ულვაშები დამაჭერით აი, სულ ძირში დამა-
ჭერით! ბებერია, აღარა შეუძლიან რაო შერტვენილი იყოს,
ეინც ახლანდელ ყმაწვილ კაცს ოცს არ აჯობოს! ხვალე
ჩემ შეიღლს ქალაქს გაეისტუმრებ; მაგრამ რა საქმე გაეუჩინო,
რომ დარჩეს იქ დიდი ხანი? მართლა, მინდორს ბანკში შე-
გატანინებ, მგონი ისე გაუჭიანურონ საქმე, იმდენი ხვალა-
ხვალა უძახონ, რომ ჩემთვის საჭიროც არ იყოს. მაცალე
შენა მაშ მე მამიჩემის თორნიკეს შეიღლი არ ვყოფილვარ,
თუ ი გოგონა... ბებერიაო... აი დედიჩემის ღმერთისა! აბა,
ერთი პურის მცხობლისას მივალ და ერთი კიდევ თვალს გა-
დავავლებ.

მანამ ბატონი ამ ფიქრებით იყო გატაცებული, თაფლო
ბატონიანთსა მიეიღა და სათონის გვერდზედ მამიდას კარი
დაუკაცუა: ტუკ, ტუკ!

— ვინ არის?

— შენი პატარა თაფლო!

— რაზას დასწი და გაიღება!

შევიდა თაფლო; —ჩქარა ჩქენსა წადი, მამიდა, დედა ავად
არისო! მაშინვე გაისტუმრა. თითონ კი სუფრა გაშალა, ქა-
და დასდო და ლოდინი დაიწყო.

— ტუკ, ტუკ!

— ვინ არის? ხმა გაიმსხეილა თაფლომ.

— შენმა ძმისწულმა ქადა გამომატანა!

— რაზას დასწით და გაიღება!

დასწია რაზას ბატონმა, კრი შეაღო და შევიდა. თაფ-
ლომ ვაჩშაჩედ მიიწვია. მამიდაც ახლავ გიახლებათ, ენახში
ჩავიდა ზაქების ამოსაყვანად.

არ გასულა ერთი კერია, ისე მორთო ბატონმა ქერივი
ფოფოდიას ფიცრული სახლი, ისე რომ სულ ააყვავა აქაუ-
რობა. ზის შიგ პატარა თაფლო და ახრამუნებს: მიწებს, ვე-
ნახებს, ტყეებს, სულ კნატა-კნუტი გააქცის შრთი და აკლია
კნეინობა და ნელ-ნელა უახლოედება ამასაც.

ჰკოცნის ბატონი ხელზედ და როდესაც ხელს თავს ანე-
ბებს და პირისკენ იწევს, თაფლო თავს არიდებს და ტკბილი
ლიმილით ყურში ჩასძახის:

— მნენობა მინდა!

და დღეში ასჯერ, ათასჯერ გაისმის ეს სიტყვები:

— მნენობა მინდა.

ბოლოს ქორწილის დღეც დანიშნეს. სულ დიბა-ხავერ-
დი ამოიტანეს ქალაქიდგან, სტუმრები მოიწვიეს... შეელა
მზად იყო. პატარძალი ჩატმული ელოდა და მეფე კი არსადა
სჩანდა: სადილს უკან დასძინებოდა და მის შემდეგ აღარავის
ენახა. გაღვიძება თავლომვე იკისრა.

მარი დაუკაკუნა — არაფერი ხმა ისმის; შეეიდა, დაუძახა,
პასუხი არ არის; მიეიდა ღვიძება დაუწყო და მკედარი ტანი
კი შეჩრა ხელში. იქვე სტოლზედ საწერ-კალამი იპოვა და
დასწერა:

„საყვარელო გვრიტო!“

მამაშენი უცბად გარდაიცვალა და შენი პატარა თაფლო
საჩქაროდ გელის; დამშლელი აღარავინა გვეყას და ჯვარის წე-
რა თავისუფლად შეგვიძლია.“

ბატონის შეილი მეორე დღესვე ამოვიდა. ზამოცვლი-
ლიყო, ქალაქის ფერი დასდებოდა, მაგრამ ჩეიდშეტის წლის
ქალს აბა რას აჯობებდა?

— რაძენი ვიტირე, ჩემო გვრიტო! მოეხვია თაფლო
და კოცნა დაუწყო.

— რა, რა ტკბილი ხმა გაქვს, ჩემო თაფლო!

— შენი სიცოცხლის დასატკბობლად, ჩემო გვრიტო!

— რა მშეენიერი ხელები გაქვს, ჩემო თაფლო!

— შენ სახეენად ჩემო გვრიტო!

— რა დიდრონი თვალები გაქვს, ჩემო თაფლო!

— შენ სამზერლად, ჩემო გვრიტო!

— რა ბროლის კბილები გაქვს, ჩემო თაფლო!

— შენ ჩასაკნატუნებლად, ჩემო გვრიტო! ხელაც როგორ
გამოიცვალა ლრო: აქამდის ჩევრ, ქალები ვიყავით თქვენი
მსხვერპლი, ახლა კი თქვენ კაკნატელა გახდით და ჩვენ კი
გაქნატუნებთ.

დამარხეს მიცვალებული, ცოტა ხანი ივლოვეს და მერე
თქვენი მოწონებული ქორწილი გააჩალეს.

შირი იქა, ლხინი აქა.

სკეპტიკი.



წ გ რ ი ლ მ ა ნ ი

(საუკრალებო)
(ბერძნების ცხოვრებიდამ).

იფიგრატი იუო დაბდის შვილი. ერთხელ, ერთმა, გამოჩენილი კაცის შთამომავალთაგანმა დასცინა იფიგრატის დაბალ შთამომავლოსას. მშ უკანას სკრელმა უჩასუსა: „ჩემი შთამომავლის იწყება ჩემით, შენი კი—შენითვე გათავისუბა.“

✓ საბრი იტეოდა ხოლმე: ირშის ჭარი, ღორმის წინაშედოდათ, უფრო ძლიერა, სანამ ღორმის ჭარი—ირშის წინაშედოდაბითათ.

ერთხელ ფოკილინი სიტევას ამშობდა, კრებას ძალის მოგწანა, ლაშის გვრა ასტესეს და, მაშასადამე, ცოტა სანს შეაწევეტონეს სიტევა. მაგრამუბლა თავის მეტობებს და ჰქითხა: „სისულე-ლე ხომ არა წამომცდარა?“

სირაკუზელმა დიონისიმ, ლაზანდრის ქალებს გაუგზავნა ძვირფასი ტანთსაცმელი, მაგრამ მამამ აღუკრძალა მიღება ამ სახუქროსა: ეგ ტანისამოსები, იმის მაგიერ რომ დაგამშევნოთ, უფრო დაგაუმნოველენ, დაგასასინრებელ ჩემს თვალშიღ.

(გასართობი).

ერთხელ ვიღამაც უისნა გიერნის: შირი გიყარსო. მოვიდა შინ და ჰქითხა ცოლს: „რატომ არ მითხარი, რომ შირი მიუკრის?“ — „მე მეგონა,“ უპასუსა ერთგულმა მეუღლემ, „კველა გაცს ცუდი სუნი ამოსდის შირიდამათ.“

გარის უფროსს ტიმოთეს თავისი ამსანაგები სთვლიდნენ არა იმოდენ ნიჭირად, რამოდენადც იღბლიან, ბედიან წინაშედოდად; სშირად საცნობები სასაცილოდ წსატავდნენ და ეს სუა-

თესი დაქართველი სახლობებში და დასტანოდნენ. ერთს სასა-
ცილო სურათში იყო დასატელი: ტიმოთეს ეძინა, სელში ტომა-
რ ეჭირა და სხეს და სხეს ქადაქები თავის თავად ძერებოდნენ
ტიმოთესში. ნასა ეს სურათი ტიმოთე და სთება: „ოუ გი მძინარე
ამდენ ქადაქებს ვიღებ, რომ არ მეძინოს, მაშინ რაღას ვიზამდი—“ ა!

ბიზისტრატის (აფინის ტიმოთის) შეუღლებ შესჩივდა თავის
მშარს, რომ ასალგაზდა ფრაზიბულა უცებ შექმდა ჩვენს ქადა-
სასახლეში და აკოცო; ამასთანავე სთხოვა, რომ იმ შეურაცხეო-
ფისათვის დაესაჯა ის უძრავილი გაცი. ბიზისტრატში უპასუხა:
„ოუ, ვინც სიუჟეტულს გვიდასდებენ ისინიც დავსაჯე, მაში რაღა
უშორ იმათ ვისაც გმელევარო?“ მთაწვია ფრაზიბულა და ჭვარი და-
სწერა თავის ქალზე.

(ჩვენის ცხოველიდამ).

၄၈ ၁၄ შეიძლება?

— როგორც იმის, ჩეუბი კადევ გაგრძელდება, ამითამ ერუ.

— გეგდაგ! გეგდაგ, რომ ყოველიგე ამას გარდა დასახრული
არ ექნება, ამითამ ბრძა.

— გამაგრნეთ! გურთდეთ, რასაც მე ვამზობ; ეს ასე იქნე-
ბა, სწერს მუხლი.

— დანით დაწინებულებ თავს თუ კერ გადურხი ამ ავათმეო-
ფობას, ამითამ დამბდიდ ჩეგარდნილი.

— სკალიფასსკი? ის, სწორებ, გენიოსია. მე იმას გარგად
ვიწოდო! წარმოდგინეთ— მე მძგარა თუ კედა აუდგებოდი ამ
სეს და იმან კი ფეხზე დამავჭრა, ამითამ ფეხებ დაჭრილი „პა-
საჟირი“ რკინის გეისა.

— მე მტკიცებ კადგივარ ერთსედ ამორჩეულ გზას, ამ-
ითამ ნიკრისის ქარით დაკრუნების უღი.

— დიდი ხანა, რაც მე იმაზე გბილებს ვიღესმ. თუ შა-
მცდა სადმე გბილებით დავლრდნი—ამითამ უცბილო მოსუცი.

၅၉ ၁၃ ၁.

ბ-ც გორგასლანს, გ. მ-ქეს, ინგურელს, ნ. მ-ქეს—არ დაბეჭდება.

უენეგო. თ. ს-ას. კარგია, მაგრამ ჩვენს გარდა სწვაც არის., არ მოსწონს.

თ. ხ-ქეს. ესენი არ დაბეჭდება. ახალი ნათარგმნი გამოგზავნეთ.

რედაქტორი და გამომცველი. ალ. ნიკიშინი.

გ ა ნ ლ წ ა ღ ე პ ა ნ ი

ც უ თ შ ა ბ ა თ ს, 19 მაისს.

ბ. ადნიაშვილის ქართული ხორი, ქართულ დრამატიულ ტრუპის არტისტთა დახმარებით, გაჭმართავს შირველად შირველ ქეკრიას:

„შ ა რ ა მ ა ნ ი“

გადავეთებული ხალხური „უარამანანიდგან“ სამს მოქმედებად და ოერთომეტ სურათად.

სურათი 1. უაფის ღევთაგან უარამანის მიწაზე ჩამოშვება; ექვს ფეხოფანი და ხდომასის რეანიდ რაშის გამოვარდნა.

სურ. 2. უანგ შაჟისა და რაჭინდ, ინდოეთას შეფის ბრძოლა; უარამანისა და სარვისურამანის ერთად შეერთ და კარშიერა.

სურ. 3. უარამანისა და სარვისურამანის შეუღლება.

სურ. 4. უარამანისაგან ყარუნ ხელმწიფითას ჭადოთ დარღვევა და შაბასარ ღევის მოგვლა.

სურ. 5. ბრძოლა ბაღიძინანის მეფის, შაჟპალ ფერიდისა, აქვალ ღევის და შეართან.

სურ. 6. შეელ უარამანისაგან ზორაბ სედმწიფის შეიღლისა და ასეავუზ ღევის შეშერღბა.

სურ. 7. მოსვლა უარამანისა ღევის სასახლეში და ღევის მოტკლა.

სურ. 8. ბრძოლა უარამანისა ზღვითა მეუესთან და უამარლუს ღედოთდის განთავისუფლება.

სურ. 9. ჭადოთაგან უშენგ შაჟის მოჭადოება.

სურ. 10. ბრძოლა უანგ შაჟისა თეჟაღი ჭადოსთან და 30 მოწანადღებებ მეუეებთან; უარამანის მოშეელება.

სურ. 11. უშენგ შაჟის მიცემულება და ანდერმი.

ამ ფერისათვეს გრძელება დამზადებულია ასალი ტანისამოსები და ზოგიერთა ახალი ღევორრაციისი. ქართულ ხროის ექნება 12 სხვა და სხვა სასიმღერო ხომერი.

თრგუსტრი დაუკრავს ბ. ბაღანხივაძის მოპურს.

მონაწალეობას მიიღებს 180 გაცი. დაღმა ფერისა — 1,000 მან.

— Тип. Г. Чарквани. Дозв. Ценз. Тифл. 14 Мая, 1883 г.

